

თან-ჰდოდ

კარნივარი

უბოფოტო

ეჰო

იბედოი ანი
გქონდეთ,
რომ ნიგნებს
მონიშნებთ!

ჟან-კლოდ კარიერი, უმბერტო ეკო
იმაღი არ გძონდეთ, რომ წიგნებს მოიშორებთ!

Jean-claude Carriere, Umberto Eco
N'ESPÉREZ PAS VOUS DÉBARRASSER DES LIVRES

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



მწერალთა
სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის და საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით.

Cet ouvrage a bénéficié du soutien du Programme d'aide à la publication de l'Institut
français.

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგ-
რამის ხელშეწყობით.

© Éditions Grasset & Fasquelle, 2009

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-855-5

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	7
შვერტიურა	
ნიგნი არ მოკვდება.....	14
არაფერია ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებლებზე უფრო წარმავალი.....	19
ქათმებს ერთი საუკუნე დასჭირდათ იმის სასწავლად, რომ გზა არ უნდა გადაეკვეთათ	36
დაასახელეთ ვატერლოოს ბრძოლის ყველა მონაწილის გვარი.....	52
გამოხშირულთა შურისძიება.....	63
ნიგნები, რომლებსაც ჩვენთან მოხვედრა ნებისმიერ ფასად სურთ	111
წარსულის ცოდნას კრეტინებს, გონებასუსტებსა და მტრებს ვუმადლით.....	128
პატივმოყვარეობას ვერაფერი შეაჩერებს.....	138
სისულელის ქება	150
ინტერნეტი, ანუ damnatio memoriae-ს შეუძლებლობის შესახებ.....	166
ცენზურა ცეცხლით.....	174
ყველა ნაუკითხავი ნიგნი.....	190
ნიგნები საკურთხეველზე და ნიგნები „ჯოჯოხეთში“.....	204
რა მოუვა ბიბლიოთეკას შენი სიკვდილის შემდეგ?	228

წინასიტყვაობა

„ეს მოკლავს იმას. წიგნი მოკლავს შენობას“¹. ეს ცნობილი ფრაზა ვიქტორ ჰიუგომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის არქი-დიაკვან კლოდ ფროლოს ათქმევინა. ცხადია, არქიტექტურა არ მოკვდება, მაგრამ მარად ცვალებადი კულტურის ბაირალის ფუნქციას დაკარგავს. „როდესაც ადარებ აზრს იმ აზრთან, რომელიც წიგნით გამოიხატება და სჯერდება სულ მცირე ქალაქს, სულ ცოტა მელანსა და კალამს, რაღა გასაკვირია, თუ ადამიანის გონებამ ხუროთმოძღვრებას წიგნის ბეჭდვა არჩია?“² ჩვენი „ქვის ბიბლიები“ არ გამქრალა, მაგრამ შუა საუკუნეების მიწურულს ისინი მნიშვნელოვნად დააქვეითა „ჭკუა-გონებათა ბუდემ ჭიანჭველებისა“, „სკამ, სადაც წარმოსახვითი ოქროს ფუტკრები თაფლს მიეზიდებიან“³. ანალოგიურად, ელექტრონულმა წიგნმა ნაბეჭდ წიგნზე რომც მოიპოვოს უპირატესობა, ნაკლებად სავარაუდოა, ჩვენი სახლებიდან თუ ჩვეულებებიდან მისი გაქრობა მოახერხოს. ასე რომ, e-book-ი წიგნს ვერ მოკლავს: როგორც გუტენბერგმა და მისმა გენიალურმა გამოგონებამ უეცრად ვერ გააუქმა ხელნაწერი წიგნების გამოყენება, პაპირუსის გრაგნილებითა თუ volumina-თი ვაჭრობა. ეს პრაქტიკა და ჩვევები ისევ თანაარსებობს, ჩვენ კი ისე არაფერი გვიყვარს, როგორც შესაძლებლობების დიაპაზონის გაფართოება. ფილმმა მოკლა ნახატი? ტელევიზიამ მოკლა კინო? ასე რომ, მივესალმებით რიდერებსა და სხვა საკითხავ მოწყობილო-

¹ ვ. ჰიუგო, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ (მთარგმნ. შ. პაპუაშვილი).

² იქვე.

³ იქვე.

ბებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ერთი ეკრანით მივწვდეთ ან უკვე გაციფრებულ მსოფლიო ბიბლიოთეკას.

საინტერესო ისაა, როგორ შეცვლის ეკრანზე კითხვა იმას, რასაც აქამდე წიგნის ფურცლისას ვიგებდით. რას შევიძინებთ და, რაც მთავარია, რას დავკარგავთ ამ ახალი პატარა თეთრი მონოხრომი-ბების გამოყენებით. ალბათ, მოძველებულ ჩვევებს. ერთგვარ საკრავს, რომელიც ჩვენმა ცივილიზაციამ წიგნს საკუთხეველზე მოთავსებით შესძინა. განსაკუთრებულ სიახლოვეს ავტორსა და მკითხველს შორის, რასაც ჰიპერტექსტუალობის ცნება აუცილებლად შეუქმნის სირთულეებს. წიგნის „დახურულობის“ იდეასა და კითხვის ზოგიერთ ჩვევას. კოლეჟ დე ფრანსის საინაუგურაციო ლექციაზე როჟე შარტიემ განაცხადა: „დისკურსებსა და მათ მატერიალურ განსახიერებას შორის არსებული ძველი კავშირების განწყვეტით ციფრული რევოლუცია წერასთან დაკავშირებული შესტებისა და ცნებების საფუძვლიანი გადახედვისკენ გვიბიძგებს“. რყევები, ალბათ, სიღრმისეული იქნება, მაგრამ მაინც აღვიდგენთ ძალებს.

ჟან-კლოდ კარიერისა და უმბერტო ეკოს საუბრების მიზანი არ იყო იმ გარდაქმნებისა და აურზაურის ბუნების დადგენა, რომლებსაც ელექტრონული წიგნის დიდი (ან მცირე) მასშტაბით გავრცელება გამოიწვევდა. მათი, როგორც ბიბლიოფილების, ძველი და იშვიათი წიგნების კოლექციონერების, ინკუნაბულების მძებნელთა გამოცდილებას უფრო იმ აზრისკენ მივყავართ, რომ წიგნი – ბორბლის დარად – წარმოსახვის სფეროს ერთგვარი მიულწვევლი სრულყოფილებაა. ბორბლის ხელახლა გამომგონებელი ცივილიზაცია *ad nauseam* მისი რეპროდუცირებისთვისაა განწირული. არ აქვს მნიშვნელობა, წიგნის გამოგონებას პირველი კოდექსების შექმნას დავუკავშირებთ (დაახლოებით ძვ. წ. II საუკუნემდე) თუ უფრო ძველ პაპირუსის გრაფილებს: ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ წინაშეა ინსტრუმენტი, რომელმაც, ცვლილებების მიუხედავად, საკუთარ თავს გასაოცრად უერთგულა. წიგნი წარმოგვიდგება „ცოდნისა და წარმოსახვის ერთგვარ ბორბლად“, რომელსაც გამოცხადებული თუ შიშის მომგვრელი ტექნოლოგიური რევოლუციები ვერ

შეაჩერებს. როგორც კი ამ დამაიმედებელ საფუძველს დავეყრდნობით, ნამდვილი დისკუსიის დაწყებაც შეიძლება.

ნიგნი საკუთარი ტექნოლოგიური რევოლუციისთვის ემზადება. მაგრამ რა არის ნიგნი? რას წარმოადგენენ მთელი მსოფლიოს თაროებსა და კარადებში დაწყობილი ნიგნები, რომლებიც კაცობრიობის მიერ წერის სწავლის დღიდან დაგროვილ მთელ ცოდნასა და ყველა ოცნებას იტყვენ? რა წარმოადგენას გვიქმნიან ნიგნები გონების ოდისეაზე? როგორ სარკეებს გვინვდიან? თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ამ ნაწარმის ნაღებს – საყოველთაო კულტურული კონსენსუსით დადგენილ შედეგებს – ვართ თუ არა ერთგულნი მათი მთავარი ფუნქციისა, რომელიც სანდო ადგილას იმის შენახვას გულისხმობს, რასაც მუდამ დავინწყების საფრთხე ემუქრება? ან ეგებ საკუთარი თავის ნაკლებად მათამბლური ხატება უნდა მივიღოთ იმ გასაოცარი სილატაკიდან, რომელიც ასევე ახასიათებს წერილობითი ნაწარმოებების სიუხვეს. ნიგნი აუცილებლად პროგრესის სიმბოლოა, რომელიც გვაგინწყებს სიბნელეს, რომელსაც თითქოსდა სამუდამოდ დავუსხლტით? კონკრეტულად რას გვეუბნებიან ნიგნები?

ჩვენს ბიბლიოთეკებში შემონახული მტკიცებულებების ბუნებას ემატება კითხვა, რამ მოაღწია ჩვენამდე. არის თუ არა ნიგნები ჭეშმარიტი ანარეკლი იმისა, რაც მეტ-ნაკლებად შთაგონებულმა ადამიანის გენიამ შექმნა? ამ კითხვის დასმაც კი მეტად გვაბწევს. როგორ არ გავიხსენოთ, რომ მრავალ კოცონში დღემდე ინვის ნიგნები? გეგონებათ, ნიგნებმა და სიტყვის თავისუფლებამ წარმოქმნა როგორც მათი გამოყენებისა და გავრცელების კონტროლის, ისე საბოლოო კონფისკაციის მოსურნე ცენზორები. როდესაც ორგანიზებულ განადგურებასთან არ გვექონდა საქმე, მაშინ მთელ ბიბლიოთეკებს ადუმებდა ხანძრები, რომლებიც დანვისა და ნაცარტუტად ქცევის უბრალო ვნების გამოხატულება იყო. ამგვარი ხანძრები გვაფიქრებინებს, რომ ნიგნების უკონტროლო სიმრავლე ასეთი რეგულაციის ერთგვარი გამართლება გახლდათ. ამრიგად, ნიგნების წარმოების ისტორია მუდმივად განახლებული „ბიბლიოკოსტისგან“

განუყოფელია. ნიგნების გზაზე ცენზურა, უმეცრება, სიბრიყვე, ინკვიზიცია, აუტოდაფე, დაუდევრობა, უყურადღებობა თუ ხანძარი დამღუპველ წყალქვეშა რიფებად იქცა. დაარქივებისა და დაკონსერვების უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ვინ იცის, რამდენი „ღვთაებრივი კომედია“ დაგვრჩა სამუდამოდ უცნობად.

ყველა ამ დამანგრეველი და გამანადგურებელი პროცესის მიუხედავად, ჩვენამდე მოღწეულ ნიგნსა და ნიგნებზე ფიქრებიდან გაჩნდა ორი იდეა, რომელთა შესახებაც გაიმართა საუბარი პარიზში, ჟან-კლოდ კარიერის ბინასა და მონტე-ჩერინიონეში, უმბერტო ეკოს სახლში. რასაც კულტურას ვუნოდებთ, სინამდვილეში შერჩევისა და გაფილტვრის ხანგრძლივი პროცესია. ნიგნების, ტილოების, ფილმების, კომიქსების, ხელოვნების ნიმუშების მთელი კოლექციები ინკვიზიტორის ხელმა დააკავა, ცეცხლის ალმა შთანთქა ან უბრალო დაუდევრობამ დაგვიკარგა. ეს გასული საუკუნეების უზარმაზარი მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილი იყო? თუ ყველაზე უარესი? რა დაგვრჩა შემოქმედებითი გამომსახველობის ამა თუ იმ დარგში: მარგალიტები თუ ტალახი? დღემდე ვკითხულობთ ევრიპიდეს, სოფოკლეს, ესქილეს და მათ სამ უდიდეს ბერძენ ტრაგიკოს პოეტად მივიჩნევთ. მაგრამ როდესაც არისტოტელე „პოეტიკაში“, ტრაგედიისადმი მიძღვნილ თავის ნაწარმოებში, ამ ჟანრის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლებს ასახელებს, ამ სამიდან არც ერთს არ ახსენებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბერძნული თეატრის საუკეთესო, უფრო წარმომადგენლობითი ნაწილი დაკარგეთ? ვინლა გაგვიფანტავს ამ ეჭვს?

ნუთუ გვანუგეშებს ის აზრი, რომ ნახანძრალ ალექსანდრიის ბიბლიოთეკასა და ცეცხლის ალში დაფერფლილ ყველა სხვა ნიგნსაცავში მხოლოდ უსარგებლო ნიგნები, უგემოვნობისა და სიბრიყვის შედეგები ინახებოდა? ჩვენს ბიბლიოთეკებში დავანებული უღიმღამო საგანძურის გათვალისწინებით, შევძლებთ კი, სათანადოდ შევაფასოთ წარსულის ეს ვეებერთელა დანაკარგი, ჩვენი მესხიერების ნებსითი თუ უნებლიე მკვლელობა? ჯერ კიდევ შემორჩენილი ნიგნებით დავკმაყოფილდებით და მსოფლიოს ყველა

ტექნოლოგიით აღჭურვილნი, ვეცდებით, ისინი სანდო ადგილას, თუმცა კი მცირე ხნით გადავინახოთ? როგორც უნდა ვცალოთ წარსულის ალაპარაკება, ჩვენს ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა თუ კინოთეკებში მხოლოდ იმ ნამუშევრებს აღმოვაჩინოთ, რომლებიც დრომ არ ან ვერ გაანადგურა. დღეს, როგორც არასდროს, გვესმის, რომ კულტურა სწორედ ის არის, რაც ყველაფრის დავინყების შემდეგ რჩება.

მაგრამ ამ საუბრებიდან ყველაზე მომხიბლავი, ალბათ, ის პატივია, რომელიც სისულელეს მიაგეს: იგი ჩუმად აკვირდება კაცობრიობის შეუპოვარ და გიგანტურ საქმიანობას და თავისი კატეგორიულობისათვის არასოდეს ბოდიშობს. სწორედ აქ შეიძინა ნიგნის მოყვარული და კოლექციონერი სემიოლოგისა და სცენარისტის შეხვედრამ განსაკუთრებული ღირებულება. პირველმა იმ იშვიათი ნაშრომების კოლექცია შეაგროვა, რომლებიც სიცრუესა და ადამიანურ შეცდომებს ეძღვნება. მისი აზრით, სწორედ ისინი განაპირობებს ჭეშმარიტების თეორიის შექმნის ნებისმიერ მცდელობას. „ადამიანი უაღრესად არაჩვეულებრივი არსებაა, – ხსნის უმბერტო ეკო. – მან ისწავლა ცეცხლის დანთება, ქალაქების შენება, დიდებული ლექსების წერა, სამყაროს ნაირგვარად ინტერპრეტირება, მითოლოგიური სურათ-ხატების შექმნა და ა. შ., მაგრამ თან თავის მსგავს არსებებთან ომი, შეცდომების დაშვება, გარემოს განადგურება და მისთანები არ შეუწყვეტია. როგორც ჩანს, სულიერი სათნოება და თანდაყოლილი სისულელე ერთმანეთს აწონასწორებს და შედეგი დაახლოებით ნულის ტოლია. ამრიგად, სისულელეზე საუბრისას ამ ნახევრად გენიალურ და ნახევრად გონებასუსტ ქმნილებას ერთგვარად პატივს მივაგებთ“. თუ წიგნები უკეთესობის მაძიებელი კაცობრიობის მისწრაფებებსა და მიდრეკილებებს ასახავს, მაშინ ისინი აუცილებლად უნდა გადმოსცემდეს მის გადაჭარბებულ ღირსებასა და უმსგავსობას. ამიტომ არც იმის იმედი გვექონდეს, რომ თავიდან მოვიშორებთ ცრუ, მცდარ ნაწარმოებებს ან ჩვენს სრულიად ტუტუცურ შეხედულებებს. ისინი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული ჩრდილებივით ფეხდაფეხ დაგვყვებიან და

გულწრფელად გვიყვებიან, რანი ვიყავით და, განსაკუთრებით, რანი ვართ: ვნებიანი და დაუდგრომელი, მაგრამ სინდისის ქენჯნას სრულიად მოკლებული მადიებლები. შეცდომა ადამიანურია, მაგრამ ის მხოლოდ იმისთვისაა დამახასიათებელი, ვინც ეძებს. ყოველ ამოხსნილ განტოლებაზე, ყოველ დამტკიცებულ ჰიპოთეზაზე, ყოველ გაზიარებულ თვალსაზრისზე რამდენი არსაით მიმავალი გზა მოდის? ამდენად, წიგნები დამლელი სისასტიკისგან საბოლოოდ გათავისუფლებული კაცობრიობის ოცნებას აცისკროვნებენ, მაგრამ ამავდროულად ბილწავენ და ჩრდილს აყენებენ მას.

ცნობილი სცენარისტი, დრამატურგი და ესეისტი ჟან-კლოდ კარიერი არანაკლებ თანაგრძნობას ავლენს იმ ნაკლებად ცნობილი მონუმენტის მიმართ, რომელსაც სისულელე ეწოდება და რომელსაც მრავალგზის გამოცემული თავისი ნაშრომი მიუძღვნა: „სამოციან წლებში გი ბეშტელთან შემდგომში მრავალგზის გამოცემულ „სისულელის ლექსიკონზე“ მუშაობას რომ ვაპირებდით, ვიფიქრეთ: „რატომ უნდა შემოვიფარგლოთ გონების ისტორიით, შედეგებით, აზროვნების დიდი ძეგლებით?“. ფლობერისთვის ესოდენ ძვირფასი სისულელე, ცხადია, გაცილებით უფრო გავრცელებულია, მეტიც, იგი უფრო ნაყოფიერი, ბევრი რამის გამომმჟღავნებელი და, გარკვეულწილად, უფრო სამართლიანიცაა“. სისულელისადმი გამოვლენილი ასეთი ყურადღების წყალობით კარიერმა სრულყოფილად გაიზიარა ეკოს ძალისხმევა, ამ მხურვალე და ბრმა ვნების ყველაზე გასაოცარი მტკიცებულებები შეეგროვებინა. შეიძლებოდა, შეცდომასა და სისულელეს შორის დაგვედგინა ერთგვარი ოჯახური კავშირი ან თუნდაც ფარული თანამონაწილეობა, რომლის განადგურება საუკუნეების განმავლობაში, როგორც ჩანს, ვერაფერმა შეძლო. მაგრამ ჩვენთვის უფრო გასაკვირი შემდეგია: ერთი მხრივ, „სისულელის ლექსიკონის“ ავტორისა, ხოლო, მეორე მხრივ, „სიყალბის ომის“ ავტორის კითხვებსა და ნააზრევს შორის ბევრი მსგავსებაა, რაც მათ საუბრებში აშკარად გამოვლინდა.

ჟან-კლოდ კარიერი და უმბერტო ეკო – ამ გზაზე მომხდარი ყველა უბედური შემთხვევის ხალისიანი დამკვირვებლები და მე-

მატიანეები – დარწმუნებულები არიან, რომ ადამიანური თავგადასავლის შემეცნება არა მარტო გამარჯვების, არამედ დაცემის წყალობითაც ძალგვიძს და ამ დიალოგში ცინცხალ იმპროვიზაციას გვთავაზობენ მეხსიერების, ჩავარდნების, ხარვეზების, დავიწყების ან გამოუსწორებელი დანაკარგების განხილვით, რომლებიც შედეგების დარად კაცობრიობის მეხსიერების ნაწილია. ისინი მხიარულად გვიჩვენებენ, როგორ დააღწია თავი წიგნმა ყველა ფილტრს, ავად თუ კარგად დაუსხლტა ყველა ბადეს. წერილობითი ტექსტების საყოველთაო გაციფრულებისა და ახალი საკითხავი ელექტრონული მოწყობილობების გავრცელების ფონზე წიგნის აღმავლობასა და დაცემაზე საუბარი გამოცხადებული ცვლილებების მშვიდად მიღების საშუალებას იძლევა. გუტენბერგის გალაქტიკისადმი ლიმილიანი პატივისცემის გამომხატველი ეს საუბრები წიგნზე შეყვარებულ ყველა ადამიანსა და მკითხველს მოხიბლავს. არ გამოვრიცხავ, ამან e-book-ის მფლობელებში ნოსტალგია გამოიწვიოს.

ჟან-ფილიპ დე ტონაკი

უპერტიურა

ნიგნი არ მოკვდება

ჟან-კლოდ კარიერი: დავოსის ბოლო, 2008 წლის ფორუმზე ერთ-ერთ ფუტუროლოგს რომ ჰკითხეს, მომდევნო თხუთმეც წელიწადში კაცობრიობას რა მოვლენები ელისო, ოთხი მთავარი და, მისი აზრით, გარდაუვალი მოვლენის დამახსოვრება გვირჩია. პირველია ნავთობის ბარელი 500 დოლარად. მეორე წყალია, რომელიც თითქოს ნავთობის მსგავსად კომერციული გაცვლის პროდუქტად იქცევა. წყლის გაცვლით კურსს სასაქონლო ბირჟაზე გავარკვევთ. მესამე პროგნოზი ეხება აფრიკას, რომელიც მომდევნო ათწლეულებში დიდ ეკონომიკურ ძალად იქცევა – რასაც ყველანი გულით ვუსურვებთ.

ამ პროფესიონალი წინასწარმეტყველის აზრით, მეოთხე ფენომენი წიგნის გაქრობა იქნება.

ახლა საკითხავია, წიგნის საბოლოო გაუჩინარებას – თუკი ეს მართლა მოხდა – კაცობრიობისთვის იგივე შედეგი თუ ექნება, რაც, მაგალითად, წყლის მარაგის გარდაუვალ დეფიციტს ან ნავთობის იგავმიუწვდომელ ფასს.

უმბერტო ეკო: გამოიწვევს თუ არა წიგნის გაუჩინარებას ინტერნეტის გამოჩენა? თავის დროზე, ანუ მაშინ, როდესაც ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავე იყო, ამაზე დავწერე. იმის მერე ყოველთვის, როცა ამ თემაზე აზრის გამოთქმას მთხოვენ, ხელახლა ვწერ იმავე ტექსტს. ამას ვერაფერს ამჩნევს, უპირველეს ყოვლისა,

იმიტომ, რომ უკვე გამოქვეყნებულზე ახალი არაფერია. და იმიტომაც, რომ საზოგადოებრივმა აზრმა (ან ჟურნალისტებმა მანაც) აიკვიატა, წიგნი გაქრებაო (ან შეიძლება, ჟურნალისტები ფიქრობენ, ეს მკითხველების აკვიატებააო) და ყველა გაუთავებლად ერთსა და იმავე კითხვას სვამს.

სინამდვილეში ამ საკითხზე ბევრი არაფერია სათქმელი. ინტერნეტმა ანბანის ეპოქაში დაგვაბრუნა. თუ ადრე გვჯეროდა, რომ სურათების ცივილიზაციაში შევაბიჯეთ, კომპიუტერმა გუტენბერგის გალაქტიკაში დაგვაბრუნა და ამიერიდან ყველა იძულებულია, იკითხოს. საკითხავად კი რამე საშუალება გვჭირდება. ეს არ შეიძლება მხოლოდ კომპიუტერი იყოს. აბა, კომპიუტერზე ორი საათი იკითხეთ რომანი და თვალეები ჩოგბურთის ბურთებივით გაგიხდებათ. სახლში პოლაროიდის სათვალე მაქვს, რომელიც ეკრანზე გამუდმებული კითხვისგან თვალეებს იცავს. სხვათა შორის, კომპიუტერს ელექტროენერგია სჭირდება, ვერც აბაზანაში საკითხავად გამოიყენებთ და ვერც ლოგინში კოტრიალისას. მაშასადამე, წიგნი უფრო მოქნილი ინსტრუმენტია.

ორში ერთია: ან წიგნი დარჩება საკითხავ საშუალებად ან იარსებებს რაღაც ისეთი, რაც წიგნი ყოველთვის – მათ შორის სტამბის გამოგონებამდე – იყო. წიგნის, როგორც ობიექტის, სახეცვლილებებს ხუთას წელზე მეტია, არც მისი დანიშნულება შეუცვლია და არც სინტაქსი. წიგნი ისეთივე ობიექტად რჩება, როგორიც კოვზი, ჩაქუჩი, ბორბალი თუ მაკრატელია. ეს საგნები გამოგონების შემდეგ ვეღარ გააუმჯობესეს. კოვზზე უკეთესი კოვზის გამოგონებას ვერ შეძლებთ. ზოგი დიზაინერი დღემდე ცდილობს კორქსაძრობის გაუმჯობესებას, მაგრამ ამ ინოვაციების უმეტესობა არ ფუნქციონირებს. ფილიპ სტარკმა ლიმონის ახალი საწურის შექმნა სცადა, მაგრამ ის კურკებს უშვებდა. წიგნმა უკვე დაიმკვიდრა თავი და გაუგებარია, იმავე ფუნქციის შესასრულებლად წიგნზე უკეთესი რა უნდა გამოვიგონოთ. შეიძლება, მისი კომპონენტები განვითარდეს, შეიძლება, ქალაქის ფურცლები აღარ ჰქონდეს, მაგრამ წიგნი წიგნად დარჩება.

ჟ.-კ. კ.: როგორც ჩანს, ამიერიდან ელექტრონული წიგნების ბოლო მოდელები ნაბეჭდი წიგნების პირდაპირ კონკურენტებად იქცა. მოდელი „Reader“-ი უკვე 160 წიგნს იტევს.

უ. ე.: უდავოა, რომ მოსამართლეს საქმის 25000 დოკუმენტის სახლში წაღება გაცილებით გაუადვილდება, თუ ისინი ელექტრონულად იქნება დამახსოვრებული. მრავალ სფეროში ელექტრონული წიგნი არაჩვეულებრივად მოსახერხებელი იქნება. უბრალოდ მაინტერესებს: ნუთუ კითხვის საჭიროებაზე უკეთ მორგებული ტექნოლოგიებით „ომისა და მშვიდობის“ წაკითხვა e-book-ით უფრო მიზანშეწონილი იქნება? დრო გვიჩვენებს. ასეა თუ ისე, ტოლსტოისა და ქალაქდზე დაბეჭდილ სხვა წიგნებს მაინც ვეღარ წავიკითხავთ, რადგან ჩვენს ბიბლიოთეკებში წიგნებმა დაშლა დაიწყო. ორმოცდაათიან წლებში „გალიმარისა“ და „ვრენის“ გამოშვებული წიგნების უმრავლესობა უკვე გაქრა. ჟილსონის „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, რომელიც დისერტაციის წერისას ძალიან გამომადგა, ხელში ვეღარ ვიღებ. რასაკვირველია, ახალი გამოცემის ყიდვა შემიძლია, მაგრამ მიყვარს ეს ძველი წიგნი არეებზე სხვადასხვაფერად მიწერილი შენიშვნებით, რომლებიც ჩემს ნააზრევს ასახავს.

ჟან-ფილიპ დე ტონაკი: *ნებისმიერ პირობებში კითხვის საჭიროებასა და კომფორტზე სულ უფრო მორგებული ახალი მედიუმების განვითარებასთან ერთად – ონლაინ ენციკლოპედიები იქნება ეს თუ რომანები – რატომ არ შეიძლება, თანდათანობით გაქრეს ინტერესი წიგნის ტრადიციული ფორმისადმი?*

უ. ე.: ყველაფერი შესაძლებელია. არ გამოვრიცხავ, წიგნებით ხვალ თაყვანისმცემლების მცირე ჯგუფილა დაინტერესდეს, რომელიც თავისი ყავლგასული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ივლის.

ჟ.-კ. კ.: ეგენიც თუ დარჩა.

უ. ე.: თუმცა ასეთივე წარმატებით შეგვიძლია, მომავალში ისეთი მშვენიერი გამოგონების გაუჩინარებაც წარმოვიდგინოთ, როგორც ინტერნეტია. სწორედ ისე, როგორც დირიჟაბლები გაქრა ციდან. იმ დღეს, როდესაც ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ნიუ-იორკში „ჰინდენბურგს“ ცეცხლი წაეკიდა, დირიჟაბლების მომავალი დასამარდა. იგივე დაემართა კონკორდს: 2000 წელს გონესის ავიაკატასტროფა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. არა, ისტორია მაინც არაჩულებრივი რამაა. გამოვიგონეს თვითმფრინავი, რომელსაც ატლანტის ოკეანის გადასაკვეთად რვა საათის ნაცვლად სამი საათი სჭირდებოდა. ვის შეეძლო ასეთ წინსვლას დაპირისპირებოდა? მაგრამ გონესის კატასტროფის შემდეგ კონკორდზე უარი თქვეს, რადგან ის ძალიან ძვირი ჯდებოდა. ნუთუ ეს სერიოზული მიზეზია? ატომური ბომბიც ძალიან ძვირი ღირს!

ჟ.-პ. დე ტ.: *მოგიყვანთ ჰერმან ჰესეს შენიშვნას ნიგნის „რელეგიტიმაციის“ შესახებ, რომელიც, მისი აზრით, ტექნიკური პროგრესის წყალობით უნდა მოხდეს. ალბათ, ორმოცდაათიან წლებში წერდა: „დროთა განმავლობაში, რაც უფრო მეტად დააკმაყოფილებს ახალი გამოგონებები სახალხო გართობისა და განათლების საჭიროებებს, მით უფრო მეტ მნიშვნელობასა და ავტორიტეტს შეიძენს ნიგნი. ჯერ ვერ მივალწიეთ იმ დონემდე, როდესაც ახალი გამოგონებები, მაგალითად, რადიო, კინო და მისთანები, ბეჭდვით ნიგნს ჩამოართმევს ფუნქციებს, რომელთა დაკარგვაც მას რამეს ავნებს“.*

ჟ.-კ. კ.: ამ თვალსაზრისით არც შემცდარა. კინომ, რადიომ და ტელევიზიამაც კი ვერაფერი დააკლო ნიგნს, ვერაფერი ისეთი, რაც „რამეს ავნებდა“.

უ. ე.: რალაც მომენტში ადამიანებმა დამწერლობა გამოიგონეს. შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რომ წერა ხელის გაგრძელებაა და ამ თვალსაზრისით ლამის ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური მოვ-

ლენაა. იგი სხეულთან პირდაპირ დაკავშირებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიაა. როდესაც ასეთი რამ გამოიგონეთ, ამაზე უარს ვე-
ლარ იტყვი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს ბორბლის გამოგო-
ნების ტოლფასია. დღევანდელი ბორბალი უძველესის იდენტურია.
სამაგიეროდ, თანამედროვე გამოგონებები – კინო, რადიო, ინტერ-
ნეტი – ბიოლოგიური არაა.

ჟ.-კ. კ.: მართებულად აღნიშნავთ, რომ ამდენი წერა-კითხვა
დღევანდელივით არასოდეს დაგვჭირვებია. კომპიუტერს ვერ გა-
მოვიყენებთ, წერა-კითხვა თუ არ ვიცით. მეტიც, ამის გაკეთება
გართულდა, რადგან ახალი ნიშნები, ახალი კოდები გამოვიგონეთ.
ჩვენი ანბანი გაფართოვდა. კითხვის სწავლა სულ უფრო ძნელდე-
ბა. შეიძლება, ზეპირ ტრადიციას დაუზბრუნდეთ, კომპიუტერებს
ჩვენი ნათქვამის პირდაპირი ტრანსკრიფცია რომ შეეძლოთ. მაგ-
რამ აქ ახალი კითხვა ჩნდება: შევძლებთ კი აზრის კარგად ჩამოყა-
ლიბებას, წერა-კითხვა თუ არ გვეცოდინება?

უ. ე.: ჰომეროსის პასუხი ნამდვილად „დაიხ“ იქნებოდა.

ჟ.-კ. კ.: მაგრამ ჰომეროსი ზეპირ ტრადიციას ეკუთვნოდა.
მთელი ცოდნა ამ ტრადიციის ფარგლებში შეიძინა იმ დროში, რო-
დესაც საბერძნეთში ჯერ არაფერი დაენერათ. შეგვიძლია, დღეს
წარმოვიდგინოთ წერის არმცოდნე მწერალი, რომელიც თავის რო-
მანს ვინმეს უკარნახებდა და წარსულის ლიტერატურაზე არაფე-
რი ეცოდინებოდა? შეიძლება, მის შემოქმედებას გულუბრყვილო-
ბის, აღმოჩენის, გამორჩეულობის ხიბლი ჰქონოდა, მაგრამ მგონია,
დააკლდებოდა ის, რასაც, უკეთესი სიტყვის უქონლობის გამო, კუ-
ლტურას ვუნოდებთ. რემბო სასწაულებრივად ნიჭიერი ახალგაზ-
რდა, განუმეორებელი ლექსების ავტორი გახლდათ, მაგრამ თვით-
ნასწავლი არ ყოფილა. თექვსმეტი წლის ასაკში უკვე საფუძვლიანი
კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული და ლექსების ლათინუ-
რად წერა შეეძლო.

არაწერიან ინფორმაციის ხანგრძლივი

მატარებლებზე უფრო წარმავალი

ჟ.-პ. დე ტ.: ნიგნების მარადიულობაზე ვფიქრობთ იმ ეპოქაში, როდესაც კულტურა, როგორც ჩანს, სხვა, შესაძლოა, უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტებს ირჩევს. მაგრამ რა უნდა ითქვას იმ საშუალებებზე, რომლებიც ინფორმაციისა და ჩვენი პირადი მოგონებების ხანგრძლივად შესანახად შეიქმნა და რომლებსაც უკვე ვაქციეთ ზურგი? ვგულისხმობ ნაირგვარ დისკეტებს, კასეტებსა თუ CD-ROM-ებს.

ჟ.-კ. კ.: 1985 წელს კულტურის მინისტრმა ჯაკ ლანგმა კინოსა და ტელევიზიის ახალი სკოლის, FEMIS-ის, შექმნა და ხელმძღვანელობა მთხოვა. ამ მიზნით რამდენიმე შესანიშნავი ტექნიკოსი შეეკრიბე ჯაკ გაჟოსის დირექტორობით, მე კი 1986-იდან 1996 წლამდე სკოლის პრეზიდენტი ვიყავი. ამ ათი წლის განმავლობაში, ბუნებრივია, ჩვენს სფეროში არსებულ ყველა სიახლეს ვეცნობოდი.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც უნდა გადაგვეჭრა, სტუდენტებისთვის ფილმების ჩვენება იყო. როდესაც ფილმს შესწავლისა და ანალიზის მიზნით ვუყურებთ, ჩვენების შეწყვეტა, უკან დაბრუნება, გაჩერება და ზოგჯერ კადრების სათითაოდ გადახვევა უნდა შეგვეძლოს. ფილმის კლასიკური ასლით ამის გაკეთება შეუძლებელია. იმ დროს ვიდეოკასეტები უკვე გვექონდა, მაგრამ ისინი ძალიან სწრაფად ცვდებოდა. გამოყენებიდან სამი-ოთხი წლის შემდეგ აღარაფერში ვარგოდა. სწორედ ამ დროს შეიქმნა პარიზის ვიდეოთეკა, რომლის მიზანი დედაქალაქის შესახებ ყველა ფოტო- და ვიდეო-დოკუმენტის შენახვა იყო. მაშინ არჩევანი გვექონდა ელექტრონულ კასეტასა და CD-ს შორის, რომლებსაც იმ დროს „ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებლებს“ ვუწოდებდით. პარიზის ვიდეოთეკამ არჩევანი ელექტრონულ კასეტაზე შეაჩერა და მასში დააბანდა ფული.

სხვაგან ცდიდნენ დისკეტებს, რომლებიც დეველოპერებს ცაში აპყავდათ. ორ-სამ წელიწადში კალიფორნიაში გამოჩნდა CD-ROM-ები (Compact Disc Read-Only Memory). როგორც იქნა, გამოსავალი ვიპოვეთ. შესანიშნავი ჩვენებები ერთმანეთს ენაცვლებოდა. მახსოვს CD-ROM-ზე ნანახი პირველი ფილმი ეგვიპტეზე. გაოგნებულები, შეპყრობილები ვიყავით. ყველა ქედს უხრიდა ამ სიახლეს, რომელიც თითქოს გადაჭრიდა ყველა სირთულეს, რომლებსაც გამოსახულებისა და ინფორმაციის შენახვის სფეროს პროფესიონალები მრავალი წლის განმავლობაში ვაწყებოდით. არადა, ამ სასწაულის მწარმოებელი ამერიკული ქარხნები შვიდი წლის წინ დაიხურა.

ამასობაში ჩვენი მობილური ტელეფონებისა და სხვადასხვა iPod-ის შესაძლებლობები მუდმივად ფართოვდება. ამბობენ, რომ იაპონელები რომანებს უკვე მათზე კრეფენ და გამომცემლობებში მსწრაფლ გზავნიან. მობილური ინტერნეტი სივრცეს ძლევს. ასევე გვპირდებიან VOD-ის (Video On Demand), დასაკეცი ეკრანებისა თუ სხვა სასწაულების ტრიუმფს. ვინ იცის, რა იქნება!

თითქოს ძალიან ხანგრძლივ პერიოდზე გესაუბრებით, რომელიც საუკუნეები გაგრძელდა. არადა, ოციოდე წელზე ვლახარაკობთ. დავიწყების საბურველი ყველაფერს სწრაფად ფარავს. შესაძლოა, უწინდელზე უფრო სწრაფადაც. უდავოდ ბანალური მსჯელობაა, მაგრამ ბანალურობა აუცილებელი ბარგია. ყოველ შემთხვევაში, მოგზაურობის დასაწყისში.

უ. ე.: ორიოდ წლის წინ მინის „ლათინური პატროლოგია“ (221 ტომი!) CD-ROM-ზე 50000 დოლარად იყიდებოდა, თუ მეხსიერება არ მლალატობს. ასეთ ფასად „პატროლოგიის“ შექმნას მხოლოდ დიდი ბიბლიოთეკები თუ მოახერხებდნენ, ღარიბ მკვლევრებს კი მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ (სამაგიეროდ, მედიევისტები ხალისით შეუდგნენ პირატული ასლების დისკეტებზე გადაწერას). ამჟამად ჩვეულებრივი აბონემენტით „პატროლოგია“ ონლაინ ყველასთვის ხელმისაწვდომია. იგივე მოხდა დიდროს „ენციკლოპედიის“ შემთხვე-